# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

...ვანის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-... ...ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

...იღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-... ...(გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...თვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-... „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

...წლისა . . . 9 მან. ∥ სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . 5 მან. ∥ ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დირს ერთი შაური.



ყოველ-დღიური გაზეთი

**„დროება“**

...ლის ივნისიდამ წლის დასრულამდის ღირს ექვსი მანეთი.

...: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

...ელ ქალებისაგან ნათარგმნი

**მოთხრობანი**

წიგნი მეორე.

...იდება ტფილისში: შავერდოვ-ჩარკვიანთან და ზრიქუროვის ...ის მაღაზიაში (ბალის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძე-...ის მაღაზიაში.

...ორში: მ. ქერესელიძესთან.


## ტელეგრამა

(...ლეთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

...ტერბურღი, 12 ივნისს. „მმართებ-...ის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღ-...ლესი ბრძანება გერბის გარდასახადის ...ლებისა და დამატებაზედ: სხვათა ...ის გარდასახადი უნდა დაედვას ...ებს, ვაებს, ობლიგაციებს, გირავ-...ის ფურცლებს, ბანკებში შესანახად ...ლი ფულების კვიტანციებს; ავ-...რეთვე კანტრაქტის გარდაცემის ზიარობებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ადმინისტრაციის ყურადღებას მიაქცევს სტუსაღოების სანიტარულ მდგომარეობას.

დამოკუნის ტარიფში ას-სამოც-დათორმეტი სტატია შეიცვალა.

„გოლოსში“ იწერებიან, რომ მოსკოვის გამოფენაზედ ოცის დღის განმავლობაში მხოლოდ 122,000 კაცი იყოვო.

„რუსკი კურიერში“ პროფესორის მოთხოვნილებით დაბეჭდილია, ტყუილიაო, რომ ვითომც კატკოვი სამართალში უნდა მისცენო.

პეტერბურღი, 13 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია, რომ ვარშავის ჟანდარმების უფროსი დენ. ორჟევსკი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

## დღიური

სოფლებიდამ მოსულები გვაცნობებენ, რომ სეტყვას წაუხდენია შემდეგი სოფლები ვენახები, ყანები და ყოველი ნათესობა:

თელავის უეზდში ალაზან გაღმა: შილდა, ენისელი, საბუე, ზრემი, ალმატი, შაქრიანი, ტურის-ციხე, ნაფარეული; გადარჩენილა ყვარელი და ფშაანი და იმის ქვემო სოფლები. ალაზან გამოღმა: მატანი, ახმეტა, რუის-პირი, ქისის-ხევი, კონდოლი, წინანდალი, ქვემო-ხოდაშენი, ვანთა, ბუშეთი, აკურისა და ვაჩნაძიანის მთა.

სიღნაღის უეზდში: კოლაკი, ვეჯინი, ბაკურ-ციხე.

ტფილისის უეზდში: ხაშმი, სართიჭალა, ყარაჯალა და ივრის ხეობაში აზამბურის დაყოლებაზე სათივე მინდვრები; კოდა, მარაბდა, ენაგეთი და ალგეთის ხეობაზე.

მომეტებულათ დასეტყვილა ამბობენ კახეთის სოფლებსა, ასე რომ ვაზს ფოთოლი არ შერჩაო და მინდორში ნაყანობები არა სჩანსო.

ჯერ-ჯერობით გადარჩენილს სოფლებში ვაზს ნაცარი არ ეტყობაო. მოსავალს კარგს მოელიან.

* *
*

კახეთში, ყარალაანთ მამულში ორმოცი-და-ათამდის ინგლისელები და ფრანცუზები მისულან სპილენძის და სხვა მადნეულის შესამუშავებლად. თან გამოუტანიათ ყოველ-გვარი სამუშაო იარაღები; ტფილისიდამ გაჰყოლია მთის ინჟინერი და გეოლოგი, ჩვენებური სტრიდონ სიმონოვიჩი, ამ მადნის შემუშავებაზე ამბობენ დიდი, თაღარიგი დაუჭერია კამპანიასაო.

თუ მართალი გამოდგა იმედები და დიდი სიმდიდრე ყარლაშვილების მადნეულებისა, რას უზამს კამპანია ალაზან გაღმიდამ რკინის გზამდე ტფილისში ჩამოტანასა, როდესაც რომ ურემი ორ-სამ თუმნათა ფასობს.

* *
*

კავკასიის დრო გამოშვებით ლიტერატურას ერთი რუსული გაზეთიც შეეძინა: ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ერთი, მეოთხე, ნომერი ბათუმის ახლად-გამოსულის რუსულ გაზეთისა, სახელად „Батумскій Листокъ“, რომლის რედაქტორ-გამომცემელად ვაჩნაძეა გამოცხადებული.

ამ მეოთხე ნომერში რედაქცია აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვაო და შემდეგ კი მუდამ დღეო. წელიწადში გაზეთი ღირს ერთ თუმნათ და 50 კაპ.

წინა სტატიაში რედაქცია აცხადებს სურვილს, რომ ეს ახლად-დაპყრობილი ბათომის მხარე კარგად შესწავლილი და გამოკვლეული იყოსო.

წერილ ამბებში დაბეჭდილია, სხვათა შორის, რომ ბათომი ერთობ შევიწროებულია უფანრობისაგანაო და

---

**„დროების“ ფელეტონი, 15 ივნისი.**

## დავიწყებული კუთხე

...ახ იშვიათათ შეხვდება კაცი იმის-... პირს ასეთ წოდებულ ადგი-...იეთ ინტელლიგენციიდგან — რო-...მაც იცოდეს, რა არის აწინდელი ...თის მაზრა, ან ჩვენი ძველებუ-...როს-თიანეთი და ფშავ-ხევსუ-... მს ისეთი საკვირველი და თა-...ური კუთხეა ჩვენის კავკასიისა, ...მისი შესწავლა ფრიად საინტე-... და საჭირო იქნებოდა. ეს შეს-... უკვე უნდა დაიწყოს, მისი გა-...ება არ შეიძლება; შემდეგში, შე-...ილს მასალას ძალიან ცოტა მე-...რული ღირსება ექმნებოდა იმი-... რომ უძველესი ფორმები, საუ-...ებითი დედა-ბოძები, ცხადი, გა-...ეული ცხოვრების კოდექსი ...თავსდებიან აწინდელ ბურჟუა-... განწყობილებასთან, რომლისა-... უკვე განდევნილნი არიან.

...ულაგოა დაწვრილებითი მო-...ბა მთიულთა ცხოვრებისა; ...ნაწილე ... ახალად გამოსახატვე-... სამყოფია იმის მოყვანაც, რომ: ...ასინლო და სამოქალაქო ურთი-...ება თემთა შორის განიხილვის ამორჩეულთა თავ კაცთაგან კი არა, როგორათაც წინათ იყო, არამედ უცხო გარეშე სამსაჯულოსაგან, რომლისაც ხალხს არც ენა ესმის, არც არსება ეჭაშნიკება; 2) რომ რელიგიურ რწმუნების საქვეყნოდ გამოაშკარებას უშლიან გარედგან დანიშნული მოძღვარნი, რომელიც დაუყოვნებლივ ექიშპებიან ხალხისაგან დაყენებულ ხუცესებს და პატივცემულ დეკანოზებს, რადგანაც თავიანთ უცოდინარობით არ ძალუძსთ ამოთხრან მთიულთა ცრუ-რწმუნება, ამოთხრა კი იმათი ჯიბისათვის საჭნებელია, ამიტომაც პოლიციურ საშუალებას მიჰყოფენ ხოლმე ხელს.

რასაკვირველია, ამ გვარი საშუალების შედეგი ერთია: სრული განშორება მთიულთა და ხსენებულ მოძღვართა შორის. და ეს უკანასკნელნიც თითქო ცდილობენ კიდეც რომ რაც შეიძლება დაიშორონ თავიანთი მრევლი.

აი საქმე რაში მდგომარეობს:

ფშავ-ხევსურეთმა და თუშეთმა არაოდეს არც კი იცოდა, რა იყო სასულიერო წოდება, ვით ცალკე კასტა, ვიზანტიურის მნიშვნელობით. ყოველ გვარი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება სრულდებოდა ადგილობრივ ქურუმთაგან, რომელთა შორის ზოგნი ამორჩეულნი იყვნენ (ხუცესნი), ზოგნი კი წმინდათაგან „აღნიშნულნი“ (დეკანოზი).

ამ 10-15 წლის წინათ „მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოებას“ კეთილი აზრი მოუვიდა: დანერგოს როგორმე გადაბირებულ მთაში ქრისტიანობის ანკარა სწავლა. მაგრამ კეთილს აზრს კეთილი შედეგის მაგიერ სიბოროტე მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ ამ კეთილი საქმის აღსასრულებლად გამოტყვრნენ სასულიერო წოდების ნაძირალნი*) (წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყნენ!) უმეცარნი, დამცირებულნი ისინი ერთ სეირს ხედავდნენ და ეტრფოდნენ თავიანთ სამრევლოში: წაგლიჯონ მრევლს, რაც კი შესაძლებელია.

*) რომ ჩემი სიტყვა მკითხველს მხოლოდ სიტყვათ არ მიაჩნდეს აი მაგალითიც: ესლაც ღუდის საზოგადოების მღვდლათ ირიცხება შტატს გარეთ ნამყოფი პრიჩეტნიკი (სალხი ნაჩაფრალს ეძახის), რომელიც წლითი-წლობამდე ცხოვრობს თიანეთში — თავის სამრევლოდამ 15 ვერსის სიშორე და მხოლოდ გაკრეჭის დროს გაჩნდება ხოლმე თავის სასულიერო ფარაში.

მართალია, ზოგი თუმცა კუჭს ვერ გაიძღობდნენ, მაგალითებრ ხევსურეთში, მაგრამ ამ მცირედობას ერთვის ის ჯამაგირიც, რომელიც დანიშნულია მართლ-მადიდებლობის საზოგადოებისაგან ამ პირთათვის, რაღა თქმა უნდა რომ ფრიად სასიამოვნოა 30-50 თუმნის მიღება წელიწადში, როცა არც შრომას ითხოვენ, არც სწავლას და პატიოსნებას და არც იმ ალაგს ცხოვრებას, საცა ვალდებული ხარ იცხოვრო. (სიმართლე ნებას არ გვაძლევს ამ პირთა შორის ჩავრიცხოთ აქტნის და ჩარგლის ღვდელნი, რომელთაც რიგიანად ასრულებენ თავიანთ თანამდებობას).

ამ გვარ მოვლენას ერთი შედეგი მოსდევს. მთიული ცუდის თვალით უცქერის მღვდელ-დიაკვნებს, ითმენს ამიტომ რომ მთავრობა უბრძანებს მოთმინებას.

საჭირო იყო მომხდარიყო კიდევ ერთი ფაქტი, რომ საუკუნოთ აეძულებინათ მთიულებს თავიანთი ოფიციალური მოძღვარნი — მე ვიგულისხმებ ხახმატის ეკლესიის გაქურდვას ხევსურების ანდერძით ძველი საყდარი აქ იყო აშენებული თამარ მეფისაგან,

ამას გარდა ქურდობა-ავაზაკობისაგანაო.

* * *

დღეს, სამშაბათს, აქაურს სამოსამართლო პალატაში ადრინდელ „ობზორის“ რედაქტორის ბ-ნი ნ. ნიკოლაძის საქმეა დიფამაციისა. უჩივის, სხვათა შორის, სურამის მომრიგებელ-მოსამართლე ბ-ნი ქაჩატოვი.

* * *

სომხურ გაზეთს „მშაკში“ დაბეჭდილია ბერლინიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ გამოჩენილ მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა აქაურს გეოგრაფიულ საზოგადოებაში წაიკითხა ლექცია კავკასიაზედ. ამ ლექციაში ვირხოვი დიდის ქებით იხსენიებს ქართველებსა და სომხებს, რომელთ შესახებ ამბობს, რომ კავკასიაში ეს ორი ხალხი არიან მოწინავე ხალხნი და სწავლა-განათლების მიმყოლნიო.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ართვინში მისულა ამ დღეებში დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი პეტერსონი, რომელმანც უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს კავკასიის მხრის მცენარეობა, ცხოველები, ეტნოგრაფია და გეოგრაფიაო.

* * *

„პეტერბურღის უწყებაში“ სწერენ, უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ საზოგადო პატიობა (ამნისტია) გამოუცხადონ ყველა იმ პოლიტიკურ დამნაშავეებს, რომელნიც საზღვარ-გარეთ ცხოვრებენ და რომელთაც დიდი რამ დანაშაული არ მოუძღვისთო.

* * *

ფოთი-ტფ. რკინის გზის ბელაგორის სტანციიდამ გვწერენ:

„წარსულს მაისში მოვდიოდი ქალაქიდგან შუადღის მატარებლით. ბელაგორის სტანციაში რომ გაჩერდა მატარებელი, შევხედე, რომ ერთი ჩხუბი იყო ამ სტანციაში. ჟანდარმი სცემდა ხალხს, და, რასაკვირველია, რომ ისინიც სცემდნენ ჟანდარმს. ამ დროს მივიდნენ კონდუქტორები და რამოდენიმე პირი პასაჟირები და გააშველეს ეს ხალხი. ამ ჩხუბში რომ ეკოწიწებოდნენ ერთმანერთს, ჟანდარმს შეაწყვიტეს ხმალი და ჯვარი.

„მერე, როგორც გავიგე დაწვრილებით, მაჩხუბრები ყოფილიყვნენ აზნაურნი პიკნაძეები, რომელნიც—ქორწილიდამ დაბრუნებულიყვნენ სტანციაში და რადგან ამ სტანციაში არ არი პასაჟირების მისაღები ზალა, შესულიყვნენ სტინციის უფროსის კანტორაში, საცა სხვებიც იყვნენ წამსვლელი ხალხი. იქ იდგა სტოლზე გრაფინკა და სტაქანი წყლით. ერთს პიკნაძეთაგანს აეღო სტაქანი და რადგან იმ სტაქანში ყოფილიყო ცოტა წყალი, გაუქნია ხელი, უნდა გადაეღვარა ის წყალი; იქ მდგარიყო უფროსი სტანციისა, და ეს ორი წვეთი წყალი ფეხებში მისხმოდა. იმსაათშივე ამ პიკნაძეს ბოდიში მოეთხოვა; მაგრამ უფროსი წამოვარდნილიყო ზეზე და ეთქვა, რომ ნუხართ ვირები ყველაო! პიკნაძეს კიდევ მოეთხოვა ბოდიში, მაგრამ არ მოეტოვებინა უფროსს და ეთქვა, დაიკარგე აქედგანო და ეკრა ხელი.

„ამ დროს შამოვარდნილიყო ჟანდარმი და რამოდენიმე მოსამსახურე ამ სტანციისა, დაუშინეს ამ პიკნაძეს ჩაგებული ხმალი და გამოაგდეს გარით. შედგა იმაზე ჩხუბი.

„ჩხუბის შემდეგ, როგორც ამბობენ, თურმე შეიყვანა ჟანდარმი ნაჩალნიკმა და მისცა წინადაება: სთქვიო, რომ პიკნაძემ როცა ჯვარი ამგლიჯავო, ფეხი დაადგავო და დაუწყო გინებავო, შენს მომცემს ასე და ისეო. ეს ყველაფერი სიცრუეა; საიდამ გაიგოშა ეს გინება, როცა პიკნაძემ სრულიად არ იცის რუსული და ჟანდარმმა ქართული?

„გასაკვირლად მიგვაჩნია, რომ საცა ეს ნაჩალნიკი იყო სტანციაში, ყოველგან ჩხუბი და დავიდარაბა ხდება ყოველთვის. ერთხელ კიდეც დაითხოვა რკინის გზის გამგეობამ თავის ცუდის მომქმედობისათვის, როცა ის იმყოფებოდა ზომის სტანციაში. დიდის ტირილით ისევ დასტოვეს სამსახურში“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

საინგილო, 4 ივნისს. საზოგადოთ ჩვენებური ჰავა და ნიადაგიც ნოტიოა. წლევანდელი ხშირი წვიმების წყალობით ეს სინოტივე ორ კეცად დასტყობია აქაურობას, აქაურ ისეც მდიდარს ბუნებას.

მოსალოდნელი იყო, რომ ხშირს წვიმებს ევნო საინგილოს წლევანდელი მოსავლისთვის, და გლეხებიც ამას მოელოდნენ; მაგრამ აგერ დღე-დღეზე ოდოშიჩ შემოვა, ჰღვთის რისხვა კი ჯერ არსად არის (ნურც იქნება!) აქაური პურები შესანიშნავად მაღლა აზრდილან, მეტადრე შავ-წყლისკენ, ზოგიერთგან ისე მაღლა, რომ კაცი შიგ ფეხზე მდგომარე არ გამოჩნდება, მინდვრები აბიბინებულნი ზღვასავით ღელავენ.

ამ წინა კვირაში მე გამოვიარე სილნალის მაზრაზე, საცა აგრეთვე პურების პირი იყო შესანიშნავი; იქაურობისათვის ძალიან მარგებელია წვიმები, მაგრამ არა იმდენიც, რამდენიც წლეულს: თურმე მთელი გაზაფხულის განმავლობაში წვიმა არ შეწყვეტილა, რისგამო ზოგიერთნი უჩიოდნენ ამდენ ავდრიანობას და მართალნიც იყვანენ: ბევრის წვიმების გამო ყანებში გუბეები იდგნენ, ამიტომ ამ ადგილების მოსავალი დაღუპულად ითვლებიან. მაგრამ. სასიხარულოდ, ამისთანა ადგილები ბევრი არ არის, უფრო მეტად ალაზნის ნაპირებზეა გუბეები, თორემ სხვაგან ისრე არა.

საზოგადოთ, რომ ვსთქვათ, პურების მოსავალი ტფილისიდგან მოკიდებული საინგილომდე და აქედგან ნუხის მაზრამდის წლეულს მეტად უხვია..

ერთის სიტყვით, რაც უნდა იყოს ჯერ-ხნობით ყანების პირი ყველგან კარგია და თუ ამის შემდეგაც არაფე-

---

რომელმაც ბევრი ძვირფასი თასებიც*) შესწირა ამ ხატს. ამას გარდა ეკკლესიას ბევრი სხვა ძვირფასეულობაც ჰქონდა; ასახელებენ, მაგალითებრ, ვახტანგის ბეჭედს.

თავ-და-პირველად ამ ძვირფასეულობას საყდარში არ ინახავდნენ, რადგანაც ეშინოდათ ხატი არ გაჰქურდონო.

ასე იყო საქმე 1873 წლამდის, როდესაც მთის ბლაღოჩინათ დანიშნულ იქმნა მღვდელი ბ. მო. ხახმატში მოსვლის უმალ იმან**) მუქარით მოითხოვა, რომ ხატის ძვირფასეულობა ეკკლესიაში შეეტანათ. დამუქრებამ და ჩაფრების ჩაყენებამ შეაშინა სოფელი და ნივთეულობა შეიტანეს საყდარში...

ბევრი ხანი აღარა გავიდა-რა, რო ხატი გაქურდეს. დაიკარგა, როგორც ხევსურები ამბობენ, თოთხმეტი ნაჭერი, რომელთა ფასი არა-ნაკლებ ორასი თუმანიაო, და რა მეცნიერული ღირსება ჰქონდათ ამ უძველესს ნივთებს, ამას ფულებზე ვერც კი დააფასებს კაცი. მცხოვრებნი ეცნენ აქეთ-იქით, დაიწყეს კითხვა, გამოძიება: ზოგი იძახდა, რო ხატის გატეხის შემდეგ ვნახეთ ცხენები ჩალით გატენილი ტომრებით აბარგულნი, რომელიც ხევსურეთიდგან თიანეთს მიჰყავნდათო, ესე იგი იმ გვარ ალაგიდგან, საცა ყოველი მცენარი იშვიათია—იმისთანაში, რომელიც ბალახ-ბულახით სავსეა; და ზოგნი კიდეც ამტკიცებდნენ, რომ ამ ტომრებში შეიძლებოდა ისეთი ნივთების დახელვა, რომელნიც ფორმით სრულებით ემზგავსებოდნენ დაკარგულ ძვირფასეულობას; ეს ცხენები მიუდიოდაო პრიჩეტნიკს გარსიაშვილს

გამოძიება, დანიშნული ამ საქმეზე, არაფრით არ გათავდა:—სამყოფი საბუთები არ აღმოჩნდაო ხსენებული პირის სამართალში მისაცემათაო.

მაგრამ ხევსურები არ დაეთანხმნენ ამ გვარ საქმის დაბოლოებას. ისინი ეძებდნენ შემთხვევას გამოძიება გაეახლებინათ. და იპოვეს კიდეც: ამ გაზაფხულს თიანეთში ხსენებულ მღვდელს და ერთ ჩაფარს ჩხუბი მოსვლიათ. გაბმულ ლანძღვაში ჩაფარს წაუყვედრებია მღვდლისათვის სასარცხვინო საქმე... ხევსურებს მალე გაეგოთ ეს ამბავი და მაშინვე ჩამოჭრილან ქალაქში და თხოვნა მიუციათ, გამოძიება განაახლეთო.

იძახიან, რო იმათი თხოვნისათვის ყურადღება მიუქცევიათო და საქმე კიდევ ამოტივტივდებაო. ჰქმნა უფალმა, რო მართლა ასე იყოს. რომ რაიმე საშუალებით აღმოჩნდნენ დამნაშავენი.

ეს საქმე ძრიელ ძვირფასია მთელი ხევსურეთისათვის. დაკარგული ნივთები ძვირფასი იყო მათთვის, როგორც ფული კი არა, არამედ როგორც სალმეთო თაყვან-საცემი საგანი.

ჩვენს მხარეს მაინც არ ებედება ამ საგანში:—მღვდლები ჩვენში სულ რაღაც სხვა ნაირები არიან: ერთს სასმელი დუქანი გაუხსნია, მეორეს სასამართლოში უჩივიან სტაროსტის ცოლს შეურაცყოფა მიაყენაო, მესამე ტაძარში ხმა-მაღლა ილანძღება და სხვა. ემტერებიან ერთი ერთმანერთს საშინლათ: მუდმივი ბეზღება და შუღლი არ ილევა მათ შორის.

—

ორიოდ სიტყვაც საერო საქმეებზედაც. სამწუხაროთ აქაც შემაძრწუნებელი ამბებიდგან უნდა დავიწყოთ. უმთავრესი მათგანია აწინდელი მდგომარეობა სოფელს სიონის მცხოვრებელთა. საკვირველია ამ უკანასკნელების ბედ-იღბალი.

ძაი ხანია, ბატონ-ყმობის დროს, ფშავის უნაყოფო ხეობებიდგან გამოსულან რამოდენიმე კომლი და დახიზნულან აქ, თ. ზ. ჭ—ის მამულებში. როგორც სხვა ხიზნები, ესენიც იხდიდნენ ხვედრს ხარჯს ფულითაც, ბეგრითაც. ასე იყო იმათი საქმე 1875 წლამდე, როცა სიონის გარიზონტზე გამოჩნდა შავი გველეშაპი პაწაწინა მარდი გაიძვერა კაცი. ეს გახლდათ არენდატორი ბ. ჭ—სა, ა. ა. აბა მარტივი გლეხი როგორ აუვიდოდა ამისთანა „აპპელაციის მცოდნე“ კაცს. ახალმა არენდატორმა ისე წაიყვანა საქმე, რომ ხიზნები ერთ არა-მშვენიერ დილას უბრალო არენდატორებათ გადაიქცნენ, რომელთა გარეკაც კი მამულიდგან ყოველ წუთს შეეძლო. ბ. სუპერ-არენდატორი, აბა რასაკვირველია, არც ხარჯის გაწერაში დაზოგავდა გლეხს და თუმცა არენდის პირობები ძალიან ძნელი ასასრულებელი იყო, მაგრამ გლეხობა პატიოსნათ იხდიდა ხვედრს ხარჯს. მაგრამ ბ. ა. ამითაც არ დაკმაყოფილდა. იმან შარშან ზაფხულს უბძანა თავის ყმებს, რიცხვით 35 კომლს, იჯარით აეღოთ მთელი მამული წელიწადში 180 თუმნათ. ბევრი ეხვეწნენ, უწინდელ წესზე დაგვარჩინეო, მაგრამ ამაო იყო იმათი ხვეწნა: დამტკიცებული კონტრაქტით ხელში სუპერ-არენდატორი ძალას ატანდა და ემუქრებოდა, ყველას გადაგასახლებთო, ბლეხებიც, რაღა გაეწყობოდა, დაემორჩილნენ [illegible] მისი, არა თუ მარტო ზემოხსენებული პირობა, არამედ უფრო უმძიმესი ჯარიმებიც, თუ დროზე არ შეეტანათ არენდის ფული. ეს უკანასკნელი პირობა ბ. ა—ისთვის ძალიან გამოსა-

---

*) ზოგიერთნი ხევსურნი ამბობდნენ კიდეც, რომ ამ თასების ძირზე თამარის ხელ-ნაწერიც იყოო.

**) თან დაიყოლა დიაკვნები, პრიჩეტნიკები; ერთი მათგანი, ხევსურები ამბობენ, ჩაფრულათ იყო ჩაცმულიო მტკიცე შთაბეჭდილებისათვის.

...ვენებს მას, მაშინ ერთი-ორად ...ება ისეც იაფი ხორბალი (ფუ-...ილოში ფასობს ახლა მანე-... ნაკლებათაც). ფეტვები და ...ები სიღნაღის მაზრაში დაუთე-... და კარგს მოსავალს ელიან. ...ში ჩალთუქი (ბრინჯი) და-...ად და ფეტვს ეხლა სთესვენ. ...მოელიან უხვს მოსავალს. ქერს ...ური ხალხი ისე ნაირად არ ეწ-... და არც სიმინდს: ქერს სთესვენ ...ლ ცხენებისთვის და სიმინდს ...ობაში ხილივით საჭმელად. ... უკეთესი მთელს საქართვე-... („ზარნა“) ბრინჯი ისყიდება ... ექვს აბაზად და ახალი მოსავ-... შემდეგ ჰგონებენ, რომ ოთხ ... გახდეს. წარმოიდგინეთ ახლა ...ური, ტფილისური სიძვირე პუ-... და ბრინჯისა.

... უპირველესი წყარო ცხოვ-... საინგილოს ხალხისა არის ...მის ქიის ყოლა. წლევანდელ ... და წვიმიანს გაზაფხულს ქიისა-...ერ უვნია, თუმცა მოუგვიანებია ... შემოსვლა. ჩვეულებრივ მეხუ-...დიძინებდა (ქია ხუთჯერ დაი-... ხოლმე, ინგილოების თქმით) ... შუა რიცხვებში და პარკ‐ს ...“ ძაისის გასვლამდის. ახლა ...ერ ეს არის გამოიძინა (მა-...სულს) და ივნისის შუა რიცხ-... ძლივს შემოვა გასასყიდათ. ... თუმცა ჯერ არ არის შემოსუ-... მგრამ მაინც 12—15 მ. ფასობს ...ადგილობრივ. აქ უხვს მოსა-ველს მოელიან პარკისას და აქაური ჩარჩი-ვაჭრები მსუქანს ლუკმას და კარგს მოგებას მოელიან. კარგი იქნება, რომ მანდაური ფულიანი ვინმე ჩამოვიდეს და ღარიბა ხალხს არც ზარალი მისცეს და თვითონაც მოგებაში იქნება.

თუმცა ყველაფერი მოსავალი ელიმება და კარგს იმედებს აძლევს აქაურს ხალხს, მაგრამ მეორეს მხრით იგივე ხალხი მეტად შეუწუხებია ადიდებულს მთის წყლებს (ხევებს), მეტადრე მდ. ქურმუხს კაკელები და სხვა ქრისტიანი ინგილოები. ამ მდინარეს სოფ. კაკის*) ნახევარზე მეტი წაულეკია და გაუოხრებია. მშვენიერი სახლები დაუნგრევია და სადაც ამ რამდენიმე წლით წინ იყო ცხოვრების დუღილი, ეხლა რიყეა.

ეს წყალი მთელს სოფელს გააოხრებს, თუ რამე ხერხი არ მოუგონეს. უოველიფერს სჯობია მისი ძველი ადგილის გასუფთავება და ამოწმენდა. მე მგონია, რომ მთელის მაზრის ხალხი თუ გამოიყვანეს თავისუფალ დროს ერთს წელიწადს წყალს ძველს კვალზე ჩააგდებენ და სოფელს მოაშორებენ და გადაარჩენენ მოსალოდნელს უბედურებას — მთელი სოფლის გარიყას.

სხვაფრივ აქ მშვიდობიანობა. ქურდობამ იკლო. ვინც თავი-ქურდები იყვნენ, დიდს ხანს ცდილში ჩაუყრია ახლად-დანიშნულს მაზრის უფროსს ბ. იუზბაშევს.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვს ინგილოები დახვდნენ ს. კაკში და სადილი გაუკეთეს. მადლიერი დარჩა ამათგან.

მ. ჯანაშვილი.

*) აქამდის ჩვენს ლიტერატურაში სოფ. კაკს უწოდებდნენ კახს. ეს ნამდვილი შეცდომაა. ყველა ინგილოები და ქიზიყელები ამ სოფელს კაკს უწოდებენ. თვით ვახუშტის გეოგრაფიაშიაც კაკად მოხსენებულია, აგრეთვე ჩვენს ისტორიაშიაც. მხოლოდ თათრულად ჰქვიან მას „ყასი“ და ამიტომ რუსებმაც კახი დაარქვეს, აქედგან ქართულადაც შეცდომით იხმარეს კახი და არა კაკი. მ. ჯ.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! „დროების„ № 110-ში დაბეჭდილია სტატია შესახებ ბათომის და ფოთის წარსულ და მომავალ ბედისა და უბედურებისა.

ავტორი სტატიისა ამბობს, ვითომც დიდი ხანია, ომამდინაც ჩვენი მმართებლობა ცდილობდა ბათომის ნავთსადგური ყიდვით შეეძინა და, რასაკვირველია, უფრო ყურადღება მიაქციეს მისს მნიშვნელობასო. ომამდის სავაჭრო ადგილი მომეტებულად მოხერხებული ჩვენის მხრისათვის მხოლოდ ფოთი იყოვო; ბევრი ლაპარაკია მის გაკეთებაზედ მის ნავთ-სადგურზე, ფულიც ბევრი დაიხარჯა და დღესაც იხარჯება, მაგრამ სადაც ოცი წელიწადი არ აშენებულა, აწცა არ უნდა მოველოდეთ მის გაკეთებასო; ეგრეთვე ფოთელ და მეგრელ ვაჭრებს ტირილი და ჩივილი აქვს ... გებსთო, და გვაძლევს წინ... დროზედ შეუდგეთ ბათომში გადასახლებას; ბათომის გუბერნატორმა ბაქოს ნავთის შემმუშავებელ ვაჭარ ხალხს გამოუცხადაო, რომ ბათომში საკმაოდ ადგილია თქვენის ვაჭრობის საქმისათვის და ყოველ შემწეობას აღმოგიჩენსთ მთავრობაო და სხვა და სხვა.

ძნელი დასაკმაყოფილებელია აზრი ბ. ავტორისა მით, რომ, თუ მმართებლობას ჰქონდა სახეში წინეთ ომისა ბათუმის ნავთსადგური შეეძინა, ეს შეიძლებოდა. მმართებლობამ თუ დიდი ყურადღება მიაქცია ბათუმის წარმატებას და მის მნიშვნელობას, საბოლოოთ გამოუდეგარიც რომ დარჩეს, მაინც იმის მოვალეობა არის ეგრეთ მოიქცეს და ხარჯის მხრითაც დარწმუნდით ფოთზედ ნაკლები არც ბათუმი დაუჯდებათ ფოთის ნავთსადგურის შესრულება. ავტორის აზრით, ჯერ უნდა შეიძლებოდეს კიდევ სამ წელიწადშიაც თქმულის მძიმის მიზეზებით. სხვა ქვეყნებში ნავთსადგურებს ოცს და ორმოცი წელს აშენებენ, მაგრამ იმედი არ დაკარგვიათ, ადრეა თუ გვიან, კარგად თუ ავად, ბოლოს მაინც აკეთებენ.

ფოთელი და მეგრელი ვაჭრები დაუცხრომელის ჩივილით და მეცადინეობით თუ ებრძვიან ყოველ მათთვის მავნებელ საქმეს, რიგია ეს ქებათ ჩაგვეთვალოს და არა ტირილათ. ნავ-

...ყო: იმან კარგად იცოდა, რო ... ფულის ჩაბარება გლეხს ყო-... გაუჭირდება და სწორეთ ...ანგარიშა, რომ ამ პირობით კარ-... შევიძენო. იმისი გამოანგა-... მათემატიკურის ზედ მიწევნით ...ლდა: იჯარის მესამედ ხარჯი ... წლის დასასრულში უნდა ... ტფილისში. გლეხობამ დრო-... ჩაიტანა და არენდატორმა ასი ... ჯარიმა წაგლიჯა! იმედია რო ... მესამედშიაც დროზე ვერ შე-... და აი კიდევ ასი თუმანი და ... იმ მამულში, რომელიც თი-... ბ. ა—ეს 80 თუმნათი აქვს ... წლიწადში!

... გაყვლეფის პერსპექტივამ ... დაღონა სოფლელები. ორი ... ჰქონდათ გაჭირებისაგან თავის ...: ან უშუამდგომლოთ მიე-... მამულის პატრონისთვის, მიე-... და მოეშორებინათ არენ-...; თუ არა, ეყიდნათ მამული. ... საშუალება არა სცალდეს, ვინ ... ექნება იმიტომ, რომ იცოდნენ ... მიუყურებელი ხასიათი. დარ-... მეორე გზა: ამ წლის დამდეგამდე ... უღდა კიდევ შესაძლებელი ... მამული ... ედა მთელს მა-... 8000 დღიურამდე, ოთხი ათას ... ამ წლის დასაწყისიდგან კი ...ცვლილება მოხდა იმის პირო-... ეხლა ბ. პ. ათი-ათას თუმანს ... უცვლის. როგორც მკითხველი ხედავს მამულის ფასმა 5-6 თვის განმავლობაში 150% იმატა. შესანიშნავი აქ. სხვათა შორის, ის არის, რომ სოფლელების გაჭირება და ეს ფასის აწევა ერთ და იგივე დროს მოხდა. ურწმუნო მკითხველი კი იფიქრებს, ერთმა მეორე დაბადაო. იქნება ეს მოვლენა ძალიან პოლიტიკურ-ეკონომიურია, მაგრამ რაც შეეხება კაცთა-მოყვარეობას, გლეხთა შებრალებას, მაგისი კი რა მოგახსენოთ...

—

სულ ხო სამწუხარო ამბები არ იქმნება. ვთქვათ ორიოდე სიტყვა სასიამოვნო მოვლინებაზედაც. უფრო გამოსაჩენი ამ გვარი ამბავი გახლავთ სათემო მიწების თანასწორათ დაყოფა. ერწოში, ფშავში და თუშეთში. მგონია, რომ ამის მზგავს თავის დღეშიაც არა მომხდარა-რა ჩვენს ქვეყანაში.

საქმე იმაშია, რო ხსენებულ ალაგებში, როგორც ზოგიერთ საქართველოს სხვა კუთხეებში (ქიზიყში, ბარეთ-კახეთში) მამულები სათემო მფლობელობის ქვეშ უნდა თანასწორეთ ყოფილიყო. მაგრამ ჟამთა ვითარებამ აქაც ის მოახდინა, რაც სხვა ქვეყნებში: მდიდრებმა და ძალოვნებმა დაიჩემეს მამულის უმრავლესი და უკეთესი ნაწილნ, ხალხის უმეტესობა კი ხელ-ცარიელი დარჩა.

წარსულს წელს ხსენებული ალაგების სოფლების საზოგადოებებმა განკარგულება დაადგინეს, რომ მომავალი წლიდგან მამულები თანასწორეთ დაიჭრასო. წელს ეს განკარგულება თითქმის ყველგან აღსრულდა: მამული ეჭრებათ კომლ-კომლზე და თუმცა ამ მოვლენას თავის დღეში არ უქმედია ჩვენში, მავრამ მიწის გადაჭრა და ცალ-ცალკე კომლის დარიგება საკვირველის ზედმიწევნით ხდება.

იქნება ის კომლიური სისტემა არ არის სიმართლიანი, იქნება იმას სხვა ნაკლულევანებაცა აქვს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ეძლევოდეს უღიდესობა აქ მარტო მამულის თანასწორად ხმარების პრინციპს უნდა ჰქონდეს და სხვას არაფერს; საჭიროა მხოლოდ, რომ ეს პრინციპი შეითვისოს ჩვენმა ხალხმა, ჩაინერგოს, იმის გონიერებაში; საჭიროა ისიცა რომ ადმინისტრაცია მხოლოდ ამ მხრით მიეშველოს ამ მშვენიერ დაწყობილებას და დანარჩენი მიანებოს გლეხობას. ეგ იქცევოდა და იქცევა აქაური მაზრის უფროსი, თ. ბბხაზი რომლის მეცადინეობითაც აღსრულდა ეს საქმე. ამისათვის, რასაკვირველია, მადლობის მეტი არა ეთქმის-რა იმას.

—

მეორე დაწყობილება იმავე მაზრის უფროსისა გახლავთ თხოვნა მთავრობასთან, რომ თიანეთში საქალაქო სკოლა გაიხსნას, პანსიონით და მასთანვე და სახელოსნო განყოფილებითა. პანსიონი ან ბურსა დანიშნული იქმნება ულარიბეს შაგირდებისთვის ფშაე-ხევსურეთიდგან და პირ იქით თუშეთიდგან.

სახსარს ამ ბურსის შესანახავათ აძლევენ თითონ სოფლის საზოგადოებანი, მეტადრე ფშაველები-ჩვენი პიონერები ყველა კეთილ საქმეში. შემწეობას დაჰპირდა „მმართლ-მადიდებლობის აღმადგენელი საზოგადოებაც.“

ძალიან სასურველია, რო ეს საქმე დაბოლოვდეს. ამ გვარ სასწავლებელიდგან ბევრით მეტს უნდა მოველოდეთ, ვიდრე სხვა მზგავს სკოლებიდგან, იმიტომ რო შაგირდების რიცხვი სულ სხვა ნაირი იქმნება: ფშავ-ხევსურების და თუშების (წოველების გარდა) ბევრით მაღლა დგანან დანარჩენ ქართველებზე: გამჭრიახნი, თავისუფალნი ამაყნი და ამასთანვე მოშორებულნი საშინელს ქართულ სენსა: სიზარმაცეს, დაუდევრობას წინათვე შეიძლება ითქვას, რომ ამ სასწავლებელს მშვენიერი მომავალი ელის, თუ კი ეს საქმე თავდა-პირველათვე მცოდნე და პატიოსან პირთა ხელში ჩავარდა.

თის შემმუშავებელთ და ვაჭარს ხალხს შემწეობას აღმოუჩენენო ბათომში გადასვლისათვისო,—ესრეთი ნუგეშიც საკმაო არ არის: ადრე თუ გვიან შეიძლება, მშვიდობიანობა დაირღვეს და მაშინ ბათუმს რა უნდა მოელოდეს?!

შენობები ბათუმისა შენდება მომეტებულად იმ პირებისაგან, ვისაც ომმა და კანცელარიამ უანგარიშოდ შესძინა, მაგრამ საეჭოა შეიძლებოდეს ამით წარმატება; ამნაირ წარმატებას უნდა ეწეოდეს ადგილობრივი საშუალება, ესე იგი მდიდარ მოსავლიანი მაზრები და მ თი მცხოვრებლები. ამიტომ ადგილობრივი საშუალება ნებას არ აძლევს საზოგადო წარმატებას. რომელ მდიდარ მაზრებს გვიჩვენებთ ბათუმის გუბერნიაში. გარდა ხეხილებისა, რომელსაც კალთით და ჯიბით უნდა ატარებდეს კაცი.

ფოთელი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგაავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—87)

---

**თედელეთის ნავთი**

სავაჭრო სახლში „თ. ივანე კოსტანტინეს-ძე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი და კომპ." ისყიდება თედელეთის ნავთის წყაროებიდან ახლად მოტანილიო ნავთი

მსურველთა შეუძლიანთ ნავთის ფასი იკითხონ სავაჭრო სახლის კანტორაში, რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში (იარმუკაზე), საკუთარს სახლში. (3—1)

---

ქართველი **სტუდენტი**

**ეძებს გაკვეთილებს.**

ადრესი — შავერდოვის აგენსტვოში. (4—2)

---

**კომისიონერის კონტორა**

**გ. ორბელოვისა**

**პარიჟში**

რვა წელიწადია, რაც არსებობს.

ყოველ ნაირ დაბარებას მიიღებს.

წიგნის მიწერა შეიძლება ქართულათ, რუსულათ და სომხურათ.

ადრესი *Paris rue Bergére, 9.* (2—2)

---

# ვეძებთ.

უმორჩილესად ვსთხოვთ პოლიციასაც და კერძო პირებსაც ვისაც კი უნახავთ ალექსი იგივე ალექსანდრე პავლეს-ძე იმერლიშვილი, რომელსაც ერთის წლით ჰქონდა პასპორტი და რომელიც ეს ოთხი წელიწადია არა ვიცით რა...

ამისი ნიშნები: ოცდა რვა წლისა, მოგრძო პირის სახისა, ქერა წვერ ულვაში და ხუჭუჭ თმიანი, მარცხენა თვალში ცოტათი ეტყობა დიბრი, ზომიერი ცხვირი, შუა-ტანისა. ყმაწვილი ცოლ-შვილიანი. სიმამრის ძმა გარდაეცვალა და მას უანდერძა ასი თუმანი ფული.

თუ ცოცხალი უნახავს ვისმეს ან თუ ვინმემ იცის პოლიციამ ან კერძო პირმა ამ კაცის სიკვდილი უმორჩილესად სთხოვთ ცოლ-შვილი და დედმამა ამ ყმაწვილისას აცნობონ შემდეგის ადრესით. ქ თელავში ს. ყვარელში მღვდლის სოლომონ იმერლიშვილის გარდასაცემად. (4—2)

---

მერვე კლასსის გიმნაზიელი

აძლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების" რედაქციაში. (6—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

**ზაქ. ჭიჭინაძისაგან**

**ფასი ერთი აბაზი.**

---

დაიბეჭდა და ისყიდება

# [illegible]

# ყარამნის შვილის

**მოთხრობა,**

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდის მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ძობალაძესთან.

---

ტაქსა

[illegible] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [illegible] ნებში და დუქნებში 1 ივნისიდან 15 ივნისამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჭვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 10 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

---

# ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**მმართველობა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა** აცხადებს, რომ, რადგანაც 10 ივნისისათვის ამ წლისა, ტორგი არ შესდგა, ბანკის წესდების § 21 მუხლის ძალით დანიშნულია მეორე და უკანასკნელი ტორგი 24 ამა ივნისის თვისათვის დილის 12 საათზე, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე თ. ბრუზინსკის სახლებში, № 13, შემდეგის მამულებისა:

**ყორღანოვის, ვასილ სოლომონის-ძის.** ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ერთ-სართულიანი ფლიგელები, სხვა მასთან შენობებით, საკუჭნოებით და თან მიწით ზომით ათას შვიდას ორმოც-და-თექვსმეტ და ნახევარი ($1,756\frac{1}{2}$) ოთხ-კუთხი საჟენით. ქ. ტფილისის 1 ნაწილში 1 განყოფილებაში. თავნი ვალი 29.543 მან. 26 კაპ. შემოსატანია 1,443 მან. სულ ოც-და-ათი ათას ცხრაას ოთხმოც-და-ექვსი მან. და ოც-და-ექვსი კაპ. (30,986 მ. 26 კ.)

**მელიქოვისა, ეკატერინე ტერ-სტეფანოვის ასული.** ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელით, მიწა ზომით სამას ექვსი (306) ოთხ-კუთხ. საჟენი ქ. ტფილისში 14 ნაწილში 2 განყოფილებაში, ნოვოტროიცკის პოსელენიაში № 409. თავნი ვალი 2,344 მან. და 36 კაპ. შემოსატანია 169 მან. და 9 კაპ., სულ ორი ათას ხუთას ცამეტი მან. და ორმოც-და-ხუთი კაპ. (2,513 მ. 45 კ.) (3—2)

---

ფაბრიკა

# ძმათა ბუხთა ვარშავაში

**Братья Бухъ въ Варшавѣ**

**ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.**

**ახალი ვერცხლისა** (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პადნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკლესიო საგნებზე:** კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, საცეცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამიებისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილებანი:** ლიუსტრები, ხილის და შამპანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მჭიდრო და რიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-და-პირ,

2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,

3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,

4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—3)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюня 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ